სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

07/08/2025

MES 8 25 0000962784

ერთწლიან სამაგისტრო პროგრამებზე (არანაკლებ 60 კრედიტი) საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე მისაღები გასაუბრების კომისიების შემადგენლობების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, სტუ-ის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) ჩარიცხვის წესის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს2025 წლის 29 ივლისის N01-05-04/152 დადგენილების და სტუ-ის რექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს N961139 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე 2025/2026 სასწავლო წლისათვის შეიქმნას მაგისტრატურის ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) მისაღები გასაუბრების დარგობრივი კომისიები შემდეგი შემადგენლობებით:

დარგობრივი კომისია N1

სამაგისტრო პროგრამა: **„ბიზნესის ადმინისტრირება“**

1. გუგული ყურაშვილი - პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2. ნატალია ჭანტურია - ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი.
3. მედეა ჭელიძე - პროფესორი, კომისიის წევრი.

დარგობრივი კომისია N2

სამაგისტრო პროგრამა: **„ბიზნესის ადმინისტრირება“** (ინგლისურენოვანი)

1. ნათია შენგელია - ასოცირებული პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2. ნინო ომანაძე - ასისტენტ-პროფესორი, კომისიის მდივანი;
3. ნინო ქავთარაძე - ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი.

დარგობრივი კომისია N3

სამაგისტრო პროგრამა: **„ფინანსური აღრიცხვა და აუდიტი“**

1. ლევან გრიგალაშვილი - პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2. თამარ ხინიკაძე-გვარამია - ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი;
3. ნინო ჩიკვილაძე - ასოცირებული პროფესორი, კომისიის წევრი.

2. 2025/2026 სასწავლო წლისათვის შეიქმნას უცხო ენაში გასაუბრების კომისია (იმ აპლიკანტთათვის, რომლებიც არჩეულ მაგისტრატურის ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, დაშვების წინაპირობის მოთხოვნის შესაბამისად ვერ წარმოადგინეს უცხო ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი) შემდეგი შემადგენლობით:

უცხო ენაში გასაუბრების კომისია:

1. პროფესორი, რუსუდან გოცირიძე - (ინგლისური ენა), კომისიის თავმჯდომარე;
2. ნინო ომანაძე - ასისტენტ-პროფესორი, კომისიის მდივანი;
3. ირინე იაშვილი - პროფესორი, კომისიის წევრი.

3. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახურმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი

ხელმოწერილია
შეთანხმებულია
ელექტრონულად